პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 191 (13883) | ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

## • საიუბილეო ვახტზე •

# ეროვნული ღირსებისა

## ეროვნული ღირსებისა

ჰიათურა. (საკ. კორ.). კალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის, პერევისის მაღაროთა კოლექტივები გამართულად, რიტმულად მუშაობენ, მათ ამ დღეებში კიდევ უფრო გაადიდეს მარგანეცის დამზადება. აგვისტოს პირველი სამი დღის დავალება კალინინის სახელობის მაღარომ 108 პროცენტით შეასრულა, ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ — 132 პროცენტით, ხოლო დიმიტროვის სახელობისამ — 104,7 პროცენტით.

დიმიტროველებმა 3 აგვისტოს დავალება 113 პროცენტით შეასრულეს. ამ მაღაროს პირველი უბნის კოლექტივმა, რომელსაც ჯ. ყორეოლაძე უძღვება, აგვისტოს სამი დღის დავალება 114 პროცენტით შეასრულა. 3 აგვისტოს უბანმა 850 ტონის ნაცვლად 1.016 ტონა მარგანეცი გამოიღო. თავდადებულად მუშაობენ მაღაროელები — სოციალისტური შრომის გმირი პ. ბოგატიშვილი, ლენინის ორდენოსანი ტ. ჭიღლაძე, ე. ყავილაშვილი, გ. ბოჭორიშვილი, ი. დარბაიძე, ს. ნადირაძე, ი. ლომიძე.

— ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით, — თქვა მარგანტრესტის მთავარმა ინჟინერმა მ. აფაქიძემ, — არათუ არ შემცირდა, არამედ საგრძნობლადაც გაიზარდა მარგანეცის დამზადება. გადაჭარბებით სრულდება მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების გეგმაც.

ფოთი. (საკ. კორ.). საიუბილეო წელს განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობს თევზკომბინატის (დირექტორი გ. ტლიაპა) კოლექტივი. აქ საერთო პროდუქციის წლიური გეგმა 141 პროცენტით შეასრულეს, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 276 ათასი მანეთი.

მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის აზოვ-შავი ზღვის აუზის თევზის მრეწველობის საწარმოთა შორის კომბინატის კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა და ფულადი პრემია მიიღო, აგრეთვე გადაეცა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა.

ფოთის თევზის კომბინატის კოლექტივი 1 იულისიდან 1968 წლის ანგარიშში მუშაობს.

# დახლის მუშაკი

ჟალაზიის მომსახურებას მიმართავს დიდი და პატარა. ყოველდღე ვხვდებით გამყიდველს. კმაყოფილი ვართ, როცა ნავაჭრს გვაწვდის ხელმარდი დახლის მუშაკი, თანაც გვიღიმის და გვეუბნება „ინებეთ!“.

ზრდილობა, თავაზიანობა, გულისხმიერება და კეთილი სიტყვა ყოველი ადამიანისათვის განუხრელი თვისება უნდა იყოს. ეს განსაკუთრებით მოეთხოვება პროდუქტებისა თუ სამრეწველო საქონლის გამყიდველს, რომელსაც ურთიერთობა აქვს მრავალნაირი ხასიათისა და განწყობის ადამიანებთან, მომხმარებლებთან. ამაზე, თუ როგორ ასრულებს გამყიდველი თავის მოვალეობას, დამოკიდებულია მაღაზიის მთელი საქმიანობა, მყიდველის კარგი გუნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სავაჭრო საწარმოს კარგ მუშაობას მხოლოდ გამყიდველი როდი განსაზღვრავს. აქ ძალიან დიდია მაღაზიის დირექტორის, როგორც ორგანიზატორის, როლი. მან უნდა დარაზმოს მთელი კოლექტივი საქონლბრუნვის, მოგების გადიდებისათვის, მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

ვაჭრობის ოსტატობა მარტივი საქმე როდია, გამყიდველმა უნდა იცოდეს, როგორ შემოგთავაზოს საქონელი, ჩინებულად უნდა ერკვეოდეს მის თვისებებსა და ღირსებაში.

კმაყოფილი არიან მყიდველები ვიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების № 3 მაღაზიის მომსახურებით. საქონლის სექციის გამყიდველებს რ. ბლუაშვილს, ო. გაფრინდაშვილს, ა. შეყლაშვილს, ნ. ღამბაშიძეს მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის და გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებისათვის არაერთხელ აქვთ გამოცხადებული მადლობა. მაგრამ მათთვის ყველაზე დიდი ჯილდო და მადლობაა მომხმარებელთა დაფასება, მათი პატივისცემის დამსახურება. მაღაზიის გამგე გ. ახანიძე გულისხმიერიც არის და მომთხოვნიც თანამშრომლებისადმი. იგი არ თაკილობს შრომას, ეხმარება მათ.

მომსახურების კულტურა ვაჭრობაში — ეს უწინარეს ყოვლისა გამყიდველის კულტურა, კეთილგანწყობილება, გულისხმიერებაა.

მყიდველი მაღაზიაში მოვიდა, მას ხურო ნახოს ნაირნაირი და ჩინებული ხარისხის საქონელი, თავაზიანი მომსახურება. კარგ ნავაჭს ადამიანისადმი სიხარული, კარგი განწყობილება მოაქვს. ეს კარგად ესმის თბილმრეწვავაჭრობის საჩუქრების № 1 მაღაზიის კოლექტივს (დირექტორი ბ. ფირცხალავა), აქ გამყიდველები სწავლობენ მომხმარებელთა გემოვნებას, ინიშნავენ მათს მოთხოვნა-შენიშვნებს, შემდეგ მაღაზიის დირექტორს აცნობენ და მომავალ მუშაობაში ითვალისწინებენ. მაღაზია გეგმას სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მაღაზიის კოლექტივმა გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მან კვლავ შეინარჩუნა თბილმრეწვავაჭრობის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა სავაჭრო ორგანიზაციამ კარგი საქმე წამოიწყო. ფართოვდება შეკვეთების მაგიდების ქსელი მაღაზიებში, საქონლის შინ მიტანა, ეწყობა სამრეწველო ნაწარმის გამსვლელი გაყიდვა საწარმოებში და სამშენებლო მოედნებზე. სოფლის კოოპერატორებს მოსავლის აღების დროს საქონელი მიაქვთ მინდვრად, პლანტაციებში. ამ და მომსახურების სხვა პროგრესულ ფორმებს უნდა დავუჭიროთ მხარი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ჯერ კიდევ არის მომხმარებლებისადმი უპატივცემლობის ფაქტები. რედაქციაში მოდის მრავალი წერილი, რომელთა ავტორები იწერებიან, რომ მათ უხეშად მოეკცნენ, წონაში მოატყუეს, ხურდა დააკლეს. ცხადია, ეს, როგორც წესი, ხდება იქ, სადაც მაღაზიათა დირექტორები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს და არ იღებენ საჭირო ზომებს საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

№ 17 მაღაზიაში გამყიდველმა ლ. აბრამიშვილმა მომხმარებელს ხურდა დააკლო. საკითხი თბილგასტრონომვაჭრობამ განიხილა და დამნაშავე დასაჯა. ამ ფაქტიდან დირექტორმა ა. ხოფერიამ სათანადო დასკვნა ვერ გააკეთა, კონტროლის გაძლიერების ნაცვლად უყურადღება კიდევ უფრო მოადუნა. ამის შედეგად მოხდა ის, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მსგავსი შემთხვევა კიდევ გამეორდა.

ზაფხული ჩვენი ვაჭრობის მუშაკებისათვის გაცხოველებული მუშაობის დროა. ფართოვდება ბოსტნეულისა და ხილის დამზადება და გაყიდვა. ამ მხრივ კარგს ვერაფერს ვიტყვით ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებზე. მათი ვიტრინები უფერულად გამოიყურება, პროდუქცია იმდენად უხარისხოა, რომ მომხმარებელი ნაკლებად ეტანება, არჩევს საკოლმეურნეო ბაზარზე მეტი მოსცეს.

ვაჭრობაში ნაკლოვანებები რომ აღმოვფხვრათ, მომსახურების კულტურა ავამაღლოთ, საჭიროა მკაცრად შევარჩიოთ კადრები, ფართოდ მოვიზიდოთ ახალგაზრდები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მაღაზიებში გვყავდეს კვალიფიციური, თავისი საქმის მოყვარული მუშაკები, ვაჭრობაში არ უნდა მუშაობდნენ შემთხვევითი, არაკეთილსინდისიერი ადამიანები.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან აღზარდონ ვაჭრობის მუშაკები მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გაიჩაღონ კოლექტივებში მასობრივი შეჯიბრება ვაჭრობის მაღალი კულტურისათვის.

საბჭოთა ვაჭრობა ოქტომბრის პირმშოა. მისი განვითარება და შემდგომი სრულყოფა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობაა.



მონრეალი. მუდამ ხალხმრავლობაა საბჭოთა პავილიონთან. ფოტო ე. პესოვისა (ახალი ამბების სააგენტო).

# საბჭოეთის ეროვნული დღე მონრეალის გამოფენაზე

## გულთბილი შეხვედრები კანადაში

**ოტავა**, 14 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). კანადაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **დ. ს. პოლიანსკის** მეთაურობით დღეს ეწვია კანადის დედაქალაქის მუნიციპალიტეტს. სსრ კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ქალაქის მერი **დონალდ რეიდი** და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები. დ. ს. პოლიანსკემ ხელი მოაწერა საპატიო სტუმართა წიგნში, გადასცა მერს სამახსოვრო საჩუქრები.

საბჭოთა დელეგაციის წევრები — მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. თ. პრომისლოვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კ. რომანოვსკი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ვ. თ. შაური** იყვნენ კანადის პარლამენტში. ისინი ესაუბრნენ ოტავის განვითარების კომისიის წევრებს.

იმავე დღეს დ. ს. პოლიანსკი და დელეგაციის წევრები ეწვივნენ კანადის გენერალ-გუბერნატორს **დ. რ. მიჩენერს.**

ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის დელეგაცია მატარებლით გაემგზავრა ოტავიდან მონრეალში მსოფლიო გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნული დღის დღესასწაულში მონაწილეობისათვის, რომელიც აღინიშნება 15 აგვისტოს.

**მონრეალი**, 15 აგვისტო. (საკდესი). 14 აგვისტოს ოტავაში, პარლამენტის შენობაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** შეხვდა კანადის პრემიერ-მინისტრს **ლ. პირსონს.** საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის საკითხებზე და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

**დ. ს. პოლიანსკემ** კანადის პრემიერ-მინისტრს **ლ. პირსონს** გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილი. **ლ. პირსონმა** თავისი მთავრობის სახელით მადლობა გადაიხადა წერილისათვის.

**მონრეალი**, 15 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ მონრეალში მსოფლიო გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნული დღის დღესასწაულში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **დ. ს. პოლიანსკის** მეთაურობით.

იმავე დღეს კვებეკის პროვინციის გუბერნატორმა **ი. ლაპუანტმა** გამართა დარბაზობა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად.

**დ. ს. პოლიანსკი** და საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრები შემდეგ იყვნენ სადილზე, რომელიც გაუმართეს მათ კვებეკის პროვინციის მთავრობისა და ქალაქ მონრეალის სახელით.

სადილზე კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრმა **დანიელ ჯონსონმა** მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა პავილიონს გამოფენაზე „ექსპო-67“ და აქ წარმოდგენილ ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ საბჭოეთის მიღწევებს. მან შემდეგ აღნიშნა, რომ კვებეკის მოსახლეობა მსოფლიო გამოფენის გახსნამდეც ინტერესს იჩენდა სსრ კავშირის ცხოვრებისადმი, აღტაცებული იყო საბჭოთა ადამიანების წარმატებებით. პრემიერმა საბჭოთა კავშირს შემდგომი აყვავება უსურვა.

საპასუხო სიტყვაში **დ. ს. პოლიანსკემ** თქვა, რომ თავისი მასშტაბით, მონაწილეთა რიცხვით, ექსპონატების მრავალფეროვნებით „ექსპო-67“ სჯობნის ყველა წინანდელ მსოფლიო გამოფენას. მსოფლიო გამოფენის წარმატება ამავე დროს მონრეალის მუნიციპალური ხელისუფლებისა და ყველა მონრეალელის წარმატებაცაა. წელს მონრეალის 325 წლისთავთან დაკავშირებით მან მიულოცა ქალაქის მცხოვრებლებს. მონრეალს, თქვა დ. ს. პოლიანსკემ, კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში არა მარტო როგორც კანადის უდიდეს სამრეწველო, საქმიან და კულტურულ ცენტრს, არამედ როგორც ნავსადგურს, სადაც საბჭოთა სატანკერო და საზღვაო ხომალდებს დიდი სტუმართმოყვარეობით ხვდებიან. გულთბილ მასპინძლობას უწევენ მონრეალში საბჭოთა ტურისტებს, მხატვრულ კოლექტივებს, სპორტსმენებს, სამეცნიერო-ტექნიკურ დელეგაციებს. სსრ კავშირის კანადის მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების წარმომადგენლებსა და ტურისტებს. ასევე გულთბილად ხვდებიან. საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა დ. ს. პოლიანსკემ, მხარს უჭერს სწორედ ასეთი კონტაქტების შემდგომ განვითარებას და მიაჩნია ისინი სერიოზულ წვლილად ორი ქვეყნის ხალხთა უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევაში.

საღამოს კვებეკის პრემიერ-მინისტრი ეწვია საბჭოთა დელეგაციის მეთაურს. **დ. ს. პოლიანსკემ** და **დ. ჯონსონმა** მეგობრულად ისაუბრეს.

## სიხარულით სავსებიან ქვეყნის სტუმრებს

მოსკოვის საქალაქო საბჭოს თეთრ დარბაზში 15 აგვისტოს გაიმართა დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა ლატვიის სსრ დელეგაციის წევრებთან, რომლებსაც მეთაურობს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ვოსი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ ესტრადაზე 15 აგვისტოს აღიმართა ლატვიის სს რესპუბლიკის ალამი. გამოფენის პავილიონებში მოეწყო მომმე რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა შეხვედრები მოსკოველებთან და დედაქალაქის სტუმრებთან. დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია აქ წარმოდგენილმა ექსპონატებმა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ლატვიის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას. (საკდესის კორ.).

## ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს დონეცკის ოლქის შახტის „კრასნოლიმანსკაიას“ № 6 უბნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს ამხ. ა. ვ. სტეპანოვს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, № 6 უბნის მთელ კოლექტივს დიდი საწარმოო გამარჯვება. „სსრულეულ წლებიდან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ ნაკისრ ვალდებულებებს, — ნათქვამია მისასალმებელ დეპეშაში, — ერთი ლავიდან „კმ — 87“ მექანიზებული კომპლექსის დახმარებით 31 სამუშაო დღის მანძილზე ამოიღეთ 110.050 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი, რაც მექანიზებული კომბაინესით აღსურული ერთი საწმენდი სანგრევიდან ქვანახშირის ამოღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამ თვალსაჩინო წარმატებას უბნის კოლექტივმა მიაღწია ქვანახშირის ამოღების სამუშაოთა ზუსტი ორგანიზაციის, ყველა მუშის მაღალი კვალიფიკაციის, ახალი დიდმწარმოებლური სამთო ტექნიკის უნარიანი გამოყენების მეთოდებით, რომელიც შექმნეს საკონსტრუქტორო ინსტიტუტებისა და სამთო მანქანათსაშენებელი ქარხნების კოლექტივებმა.

თქვენი შესანიშნავი გამოცდილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანია თანამედროვე სამთო ტექნიკაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და ქვანახშირის მოპოვების თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და ახლა შრომითს წარმატებებს“.

შახტ „კრასნოლიმანსკაიაში“ ანატოლ სტეპანოვის ბრიგადა გასდა დონბასში სოციალისტური შეჯიბრების გმირი. ივლისში ბრიგადამ მექანიზებული კომპლექსით ერთი ლავიდან ამოიღო 110 ათასი ტონა ქვანახშირი — ამდენს იძლევა ორი დიდი შახტი. კოლექტივი ინარჩუნებს სადღესასწაულო ტემპს აგვისტოშიც. ათი სამუშაო დღის მანძილზე ამოღებულია კიდევ ექვსი ეშელონი ზეგეგმითი სათობი. დამთავრდა მთელი საიუბილეო წლისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

„კრასნოლიმანსკაიას“ შახტი ტექნიკით, რომელმაც შეცვალა ხელის შრომა, იღებენ მთელი ქვანახშირის ნახევარზე მეტს. დასასრულია აამოქმედონ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე — ავტომატური სისტემის მქონე პირველი კომბალექსი, რომელმაც დიდი შეფასება დაიმსახურა გამოფენაზე „ინტერგორმაშმა-67“. კომპლექსი შეუძლია მართოს სულ ორმა მემანქანემ ისე, რომ არ ჩავიდნენ ლავაში.

ლავა, სადაც ა. სტეპანოვის ბრიგადა მუშაობს, სამთო ოსტატობის სკოლა გახდა. ტექნიკის უნარიანი გამოყენების გამოცდილებას უკვე გაეცნენ აუზის თითქმის ოცი საწარმოს მექანიზატორები.

უპასუხა რა შეკითხვაზე ბრიგადის გეგმების შესახებ, ანატოლ სტეპანოვმა საკდესის კორესპონდენტს განაცხადა:

— ვამთავრებთ ჩვენი ლავის დამუშავებას. ახალ ადგილზე გადასვლის შემდეგ განზრახული გვაქვს გავზარდოთ ერთი სანგრევიდან ქვანახშირის მიღების მსოფლიო რეკორდი, რომელიც დაამყარეს ჩვენმა ამხანაგმა მეშახტეებმა — სოციალისტური შრომის გმირის ნიკოლოზ გრინდას ბრიგადის წევრებმა. (საკდესის კორ.).

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲚᲘᲛᲐᲜᲡᲙᲘ
(დონეცკის ოლქი).

## ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

**საბჭოთა** კავშირში დასასვენებლად იყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **სანტიაგო კარილიო.** სსრ კავშირში ყოფნის დროს ამხ. კარილიო იყო მოსკოვში, ნოვოსიბირსკში, ირკუტსკში, ბრატსკსა და ოდესაში.

ამხ. სანტიაგო კარილიო შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ბ. ნ. პონომარიოვს. შეხვედრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. საუბარმა, რომელმაც მეგობრობისა და დიდი გულითადობის სულისკვეთებით ჩაიარა, დაადასტურა შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა საკითხზე.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

**საბჭოთა** კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსსასწაულისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით ჩამოვა 84 ქვეყნის 88 პროფკავშირული და მუშათა დელეგაცია.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, საკავშირო პროფსაბჭომ შეიმუშავა საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთელ სტუმართა ყოფნის პროგრამა. საბჭოთა კავშირში ისინი ორ კვირას დაჰყოფენ. დელეგაციები დაიყოფა ჯგუფებად, შემდეგ გარდა მოსკოვისა, ეწვევიან კიევს, მინსკს, კიშინიოვს, ბაქოს, ერევანს, თბილისს, ტაშკენტს, დუშანბეს, ფრუნზეს რიგას, ტალინს. ისინი გაეცნობიან საბჭოთა ხალხის მიღწევებს, დაათვალიერებენ სამრეწველო საწარმოებს, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ დაწესებულებებს.

პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან, ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების დათვალიერება-გაცნობას.

## ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

**საქართველოს** სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაიაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი წარმატებანი მოიპოვეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში. შეჯამებულია რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები.

**საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს** კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ თბილისის მარმელადის ფაბრიკისა და № 3 ღვინის ქარხნის, ბორჯომის მინის ქარხნის, ჯანჯაღურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის, თბილისის № 5 პურის ქარხნის, თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივები. მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს წულუკიძის ჩაის ფაბრიკის, თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხნის, ქუთაისის ლუდის ქარხნის, თბილისის ლიქიორის ქარხნის, ქობულეთის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნის, საჯიჯოს ჩაის ფაბრიკის, წყალტუბოს პურის ქარხნის კოლექტივებმა. მესამე პრემიები მიიღეს გომის სპირტის ქარხნის, ლანჩხუთის, ნაბეკვრისა და გალის ჩაის ფაბრიკების, თბილისის № 3 პურის ქარხნის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ ცხინვალისა და თელავის ხორცკომბინატების, წითელწყაროს ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნების კოლექტივები, მეორე ფულადი პრემიები მიიღეს წალკისა და ბოგდანოვკის ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნების კოლექტივებმა. მესამე პრემიები — ბორჯომისა და სიღნაღის ყველისა და კარაქის მთავარმა ქარხნებმა.

ახალქალაქის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს მიენიჭა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი **წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მეორე ფულადი პრემია** დაიმსახურა **კასპის** წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს კოლეტივმა, **მესამე** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის „**წყალმშენის**“ ტრესტის № 8 სამშენებლო **სამმართველოს** კოლექტივმა.

**თბილისის № 8 წისქვილკომბინატის** კოლექტივი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის **გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით. მეორე ფულადი** პრემია დაიმსახურა **მარნეულის პურის პროდუქტების ბაზის** კოლექტივმა, **მესამე** — **ბორჯომის პურის პროდუქტების ბაზის** კოლექტივმა. (საქდესი).

## ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

**ყვარელი.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დიდი ყურადღება ექცევა ეთეროვანი ზეთების ნედლეულის წარმოებას. კაზანლიკის ვარდი, გერანი, რეჰანი და სხვა კულტურების უხვ მოსავალს იღებენ ყვარლის ეთერზეთების ქარხანა მეურნეობაში (დირექტორი რ. სესიაშვილი). აქ კაზანლიკის ვარდის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა 126 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 55 ტონისა 76 ტონა ვარდი დამზადდა. სულ კი რაიონში ნაცვლად 65 ტონისა 82 ტონა კაზანლიკის ვარდი დამზადდა.

**დაიწყო** და წარმატებით მიმდინარეობს გერანის აღება. რაიონში ეს **კულტურა 62 ჰექტარზეა** გაშენებული. **გეგმით 1.500 ტონა** ნედლეული **უნდა** აწარმოონ.

**ლაგოდეხი.** (საკ. კორ.). კაზანლიკის ვარდის წარმოების გეგმა რაიონში კარგა ხანია შესრულდა. ახლა აქ გერანის შერჩევით აღება დაიწყო.

ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობაში ჰექტარზე 10 ტონა გერანის ნედლეულს იღებენ. საიუბილეო წელს ლაგოდეხელმა მშრომელებმა გეგმის გადამეტებით დიდძალი ეთერზეთების ნედლეულის წარმოება იკისრეს.

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

### Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘᲡ

# ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

**იაპონიის „საზოგადოება ხაბაროვსკის“ წერილი** ა. ნ. კოსიგინს, რომელშიც გაერთიანებული არიან იაპონიის მრავალი პრეფექტურის გუბერნატორები და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე იაპონიის საქმიანი და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა მისასალმებელი წერილი და მოულოცა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავი.

წერილში აღნიშნულია თუ რაოდენ დიდი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და რა დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

„არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე, — ნათქვამია წერილში, — თქვენმა ქვეყანამ ღირსეულად გადაიტანა მძიმე განსაცდელი და რუსეთი, რომელიც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო, -მსოფლიო ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. ახლა კარგად გვესმის, რომ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ თქვენი სახელმწიფოს ისტორიის მაგალითით“.

წერილის ავტორები გამოთქვამენ ღრმა პატივისცემას საბჭოთა მთავრობისა და ხალხისადმი „პატიოსანი და თავდადებული მოქმედებისათვის, რომლის მიზანია კრიზისის ლიკვიდაცია ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე მშვიდობის აღდგენა ვიეტნამში“.

წერილში გამოთქმულია კმაყოფილება სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობაში მომხდარი დადებითი ძვრების, ამ ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების გამო. „საზოგადოება ხაბაროვსკის“ ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ისწრაფვიან „შექმნან უფრო ხელშემწყობი ვითარება“ ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელ ურთიერთობის და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის, კერძოდ, ცომბირის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების დარგში, აგრეთვე იაპონია-საბჭოთა კავშირის სანაპირო ვაჭრობის განვითარებაში.

„**საზოგადოება ხაბაროვსკი**“ იაპონიაში შეიქმნა 1966 წელს ხაბაროვსკში გამართული საბჭოთა კავშირ-იაპონიის დიდი სავაჭრო გამოფენის შემდეგ. საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს იაპონიისა და სსრ კავშირს სანაპირო ვაჭრობის გაფართოებას. საზოგადოებაში გაერთიანებული არიან იაპონიის ბევრი პრეფექტურის გუბერნატორები, ქალაქების მერები, სამმართველო და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები. საზოგადოება იღებს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების განმტკიცებისათვის. ამას წინათ საზოგადოების დელეგაცია ნაგანოს პრეფექტურის გუბერნატორის გ. ნისიძავის მეთაურობით სსრ კავშირში იყო.

## „ᲘᲜᲢᲔᲠᲒᲘᲪᲛᲐᲣ-68“

**1968 წლის** მაის-ივნისში „სოკოლნიკის“ პარკში გაიმართება საერთაშორისო გამოფენა „კომფალური და საყოფაცხოვრებო მოწყობილობა“. შეიქმნა ამ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

საბჭოთა პავილიონი გამოფენის მომავალ ექსპოზიციაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პავილიონი იქნება. საბჭოთა განყოფილებაში მონაწილეობისათვის მოწვეულია 47 სამინისტრო და უწყება, რომლებიც ამზადებენ და ამუშავებენ კომუნალურ მოწყობილობას, საყოფაცხოვრებო მანქანებსა და ხელსაწყოებს.

# საერთაშორისო ხროვრაჟა

## ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

### შენდება ვ. ი. ლენინის მუზეუმი

**ულან-ბატორი.** მონღოლეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ ტუჩაზე შენდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მუზეუმის შენობა. ეს იქნება ლამაზი, თანამედროვე სამსართულიანი მსუბუქი ბეტონის შენობა. მონღოლ მშენებლებს ამ შენობის საეკსპლუატაციოდ გადაცემა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ აქვთ განზრახული. (საკდესი).

### ბულგარელი ესპერანტისტები — ოქტომბერს

**სოფია.** ბულგარელი მხატვრები ემზადებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის, რომელიც სოფიაში გაიხსნება დეკემბერში. გამოფენის თემაა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა ბულგარეთზე. ამ თემას ეძღვნება აგრეთვე გამოფენები, რომლებიც გაიმართება 28 საოლქო ცენტრში ადგილობრივ მხატვართა ჯგუფებთან ერთად.

გამომცემლობა „ბულგარელი მხატვარი" ამზადებს ხელოვნების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამონათქვამების კრებულს. გამოიცემა ნაშრომი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების შესახებ. მასში შევა დაახლოებით 200 ფერადი და შავ-თეთრი რეპროდუქცია. გამოსაცემად მზადდება პოლიტიკური პლაკატის ალბომი, რომელშიც საბავშვო წიგნი, პლაკატები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციას ეძღვნება.

### ეძღვნება იუბილეს

**ვარშავა.** პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ახორცielებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბევრ ღონისძიებას. სექტემბერში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება აწყობს ოუსული და საბჭოთა მუსიკის ფესტივალს, საერთაშორისო ველორბოლას, ძიტორბოლასა და ტურისტულ ლაშქრობას „ლენინის ადგილებში", აგრეთვე 1917 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენებს.

ეწყობა საბჭოთა წიგნის დღეები, გაიმართება საბჭოთა და რუსი დრამატურგების პიესების ფესტივალი.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება აწყობს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისადმი მიძღვნილ ლექციებსა და საღამოებს. (საკდესი).

### ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში

**რომი,** 15 აგვისტო. (საკდესი). „უეჭველია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში", — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ჟურნალ „რიფორმა დელა სკუოლას" დირექტორმა, რომის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუჩიო ლომბარდო-რადიჩემ.

„იტალიის და მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის, — ხაზგასმით აღნიშნა ლომბარდო-რადიჩემ, — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იმპერიალისტური ფრონტის რღვევა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი გადამწყვეტი ფაქტორი იყო მთელი მსოფლიოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისათვის, ეს იყო ძალის, ენერგიის, იმედის წყარო ჩაგრისა და დევნის ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი".

ლომბარდო-რადიჩემ აღნიშნა, რომ „მილიონობით ადამიანმა ახლებურად გაიგო სიტყვა „თავისუფლების" მნიშვნელობა, მიხვდა, რომ შეუძლებელია ჭეშმარიტი თავისუფლება გაბატონებული კლასების უღლის მოუცილებლად".

დასასრულ ლომბარდო-რადიჩემ აღნიშნა: „საბჭოთა კავშირმა უეჭველია გრანდიოზული წვლილი შეიტანა მთელი კაცობრიობის სამოქალაქო, კულტურულ და სამეცნიერო პროგრესში".

## ი. ბროზ ტიტო ერაყში

**ბაღდადი,** 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ ერაყის პრეზიდენტის ამდელ რაჰმან არიფის მოწვევით დამასკოდან ჩამოვიდა იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო.

### პატრიოტებმა ტყვია დაუშინეს აეროდრომს

**ბანგი,** 14 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ჩვიდმეტი ვერტმფრინავი მოსპეს და დააზიანეს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა 29 ივლისს კუანგჩის პროვინციის ვინლინის რაიონში ამერიკის აეროდრომის ცეცხლის დაშენის დროს. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სააგენტო განთავისუფლების ახლახან მიღებულ წინასწარ ცნობებს.

აეროდრომისათვის ცეცხლის დაშენის დროს განადგურდა სამარი მასალების საწყობი და დახოცილია ბევრი ამერიკელი ჯარისკაცი. სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს არის განთავისუფლების არმიის მებრძოლთა მერვე იერიში ამ აეროდრომზე, რომელთა დროს სულ მოსპობილი და განადგურებულია 122 ამერიკული თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

### გავშვთა ექიმების ფორუმი

**პრაღა,** 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო ბავშვის ტკინის დამლის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს 25 ქვეყნის 350 სპეციალისტი.

ბავშვის ტკინის დამლის მსოფლიო კომიტეტმა ჩეხოსლოვაკიელ ექიმებს სიმპოზიუმის მოწყობა დაავალა იმასთან დაკავშირებით, რომ ცნობა მათ მიღწევებს ამ დაავადების მკურნალობაში.

სიმპოზიუმის მუშაობა 18 აგვისტომდე გასტანს. მისი მონაწილეები დაათვალიერებენ ჩეხოსლოვაკიის სამკურნალოებს, რომლებიც ტკინის დამლის მკურნალობაში სპეციალდებიან.

### ღატაკთა მარში

**ნიუ-იორკი,** 15 აგვისტო. (საკდესი). მისისიპის შტატის დედაქალაქ ჯეკსონში გაიმართა „ღატაკთა მარში", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 800 ზანგმა, მარში გუშინ მოაწყო ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის ადგილობრივმა განყოფილებამ.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ჩაიარეს ქალაქის ქუჩებში საკანონმდებლო კრების შენობასთან, სადაც ისინი შეაჩერეს შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა. ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჩარლზ ევერსმა განაცხადა, ჯარისკაცების მოქმედება უკანონოა. მიმართა რა მარშის მონაწილეებს, მან თქვა, „შორს აღარ არის ის დრო, როცა აქ არ იქნება მარტო თეთრკანიანთაგან შემდგარი მთავრობა".

ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის მისისიპის შტატის წარმომადგენელმა ა. ჰენრიმ განაცხადა, რომ „ღატაკთა მარში" მოეწყო გუბერნატორ ჯონსონის იმ მტკიცების პასუხად, რომ თითქოს მისისიპში ღატაკები არ იყვნენ.

## ეს დღეები დელიში

**დელი,** 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ეროვნული დღესასწაულის — ინდოეთის დამოუკიდებლობის დღის წინ რადიოთი გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ზაქირ ჰუსეინი.

თავის სიტყვაში იგი დაწვრილებით შეეხო წარმატებებს, რომლებიც ინდოელმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე. „1950 წელთან შედარებით, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენ ახლა ვაწარმოებთ ოთხჯერ მეტ ფოლადს, ხუთჯერ მეტ ელექტროენერგიას, 15-ჯერ მეტ ალუმინს. ჩვენ შევქმენით საუფლებანი, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოს ჩვენი შემდგომი განვითარება".

ზაქირ ჰუსეინი შეეხო სოფლის მეურნეობას და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მიუხედავად, მზარი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ არ გვყოფნის სურსათი.

დასასრულ პრეზიდენტმა ილაპარაკა ინდოეთის საშინაო პოლიტიკური ვითარებაზე. მან მოუწოდა ხალხს ერთობისათვის და ერთობლივი მეცადინეობისათვის, რათა შეასრულონ ინდოეთის განვითარების პროგრამა.

**დელი,** 15 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ნ. მარკოვი იუწყება:

დღეს ინდოეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი არსებობის 21-ე წლისთავს იწყებს. ციხე-სიმაგრე წითელი ფორტის ძველ კედლებთან შეიკრიბა დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, რათა აღენიშნა დამოუკიდებლობის გამოცხადების ღირსშესანიშნავი თარიღი, რომელიც უცხოელ კოლონიზატორებთან ხანგრძლივი ბრძოლების შედეგადაა მოპოვებული.

საზეიმო ცერემონია იხსნება მენალარეთა სიგნალით. პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შეეხო ინდოეთის მიერ განვლილ გზას და აღნიშნა, თუ რა წარმატებანი მოიპოვა ინდოეთმა განვითარებაში. პრემიერ-მინისტრმა ხალხს მოუწოდა შეკავშირდნენ და გაერთიანდნენ შემდგომი წინსვლისათვის.

დამოუკიდებლობის დღის გამო საზეიმო მიტინგები გაიმართა ბომბეიში, კალკუტაში, მადრასსა და ინდოეთის სხვა ქალაქებში.

## ედგომაკრეობა ნიგერიაში

**ლაგოსი,** 15 აგვისტო. (საკდესი). ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის ჯარები „ფრონტის ბეერ უბანზე შევიდნენ ამ ქვეყნის შუა დასავლეთის შტატში და მიიწევენ შტატის მთავარ ქალაქ ბენინუსაკენ". ეს აქ გამოაცხადა გუშინ ნიგერიის ფედერალური მთავრობის წარმომადგენელმა. მთავრობამ, თქვა მან, „პოლიციასა და ლოიალურ ჯარებს შუა აღმოსავლეთის შტატში მოუწოდა ითანამშრომლოს ფედერალურ ჯარებთან. ფედერალური ჯარები, თქვა ნიგერიის მთავრობის წარმომადგენელმა, მოქმედებენ შუა აღმოსავლეთის შტატის ტერიტორიაზე. ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობასთან თანამშრომლობით.

როგორც წინათ ვიუწყებოდით, ნიგერიის შუა დასავლეთის შტატი გასულ კვირაში ხელთ იგდეს ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის ჯარებმა, რომელთაც თავი გამოაცხადა ბიაფრის რესპუბლიკად.

**ლაგოსი,** 15 აგვისტო. (საკდესი). ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ საღამოს ნიგერიის თვითმფრინაველები თავს დაესხნენ ქალაქ ენუგუს — ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის დედაქალაქს, რომელიც განუდგა ფედერაციას. თავდასხმის შედეგად, აღნიშნა ნიგერიის მთავრობის წარმომადგენელმა, ქალაქმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა.

## ამერიკელ ჯარისკაცთა ბანდა ეროვნულ ალმებს ფეხქვეშ თელავს



## ზეიმი პაკისტანში

**რავალპინდი,** 15 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ბ. კრეჩნევი იუწყება:

გუშინ დილას საარტილერიო სალუტმა რავალპინდში, ლახორსა და დაში ეუწყა, რომ დაიწყო პაკისტანის დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ტრადიციისაებრ, რაც პაკისტანის სახელმწიფოს დაარსების პირველი დღეებიდანვე დამყარდა, მთავრობის დაწესებულებათა ფლაგშტოკებზე აღიმართა ეროვნული ალმები. მთელ პაკისტანში გაიმართა ახალგაზრდობის საზეიმო დემონსტრაციები, სახალხო სეირნობა და მატნგები.

პაკისტანში წარმატებით ვითარდება ეროვნული მრეწველობა, დიდი მუშაობა წარმოებს ჯანმრთელობის დაცვის დარგში, შენდება ახალი სკოლები და უნივერსიტეტები, სოფლის მეურნეობა იღებს დიდძალ სასუქსა და ზხამქიმიკატებს, იზრდება სარწყავი არხების ქსელი. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უზრუნველყოს ქვეყანა სურსათით. პაკისტანის განვითარებაში ამ ბოლო წლების მანძილზე ახალი დადებითი ფაქტორი იყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან და, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარება, რაც განუხრელად ფართოვდება.

პაკისტანის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რასაც ახლანდელი მთავრობა ახორციელებს, მის მტკიცე პოზიციას ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიცაა სრული და საყოველთაო განიარაღება, ატომური იარაღის გაუვნებელყოფა, კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის საბოლოო ლიკვიდაცია, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის ლაგმობა ვიეტნამში და ისრაელის აგრესიის დაგმობა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ერთმანეთისადმი ეროვნულ მხარეთა პატივისცემა, ერთმანეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობა, — ფართოდ ეხმიანება ხალხთა ფართო მასები.

**დასავლეთ პაკისტანში** ახალი მიწების ათვისებაზე წარმატებით მუშაობს საბჭოთა ტექნიკა. ბულდოზერებმა, ტრაქტორებმა და სხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანებმა პაკისტანელ მექანიზატორთა მაღალი შეფასება მიიღო.

**სურათზე:** საბჭოთა ბულდოზერები პაკისტანში ახალი მიწების ათვისების რაიონში.

ფოტო ვ. პატაკისა (ახალი ამბების სააგენტო)

## დარგევა და აწიოკება მონღოლეთის საელჩოში

### მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საბაგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

**ულან-ბატორი,** 14 აგვისტო. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის საელჩოსთან „წითელი მცველები" უწესობის გამო დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. ტოი

# ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

# ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ სასწავლო წელი კარს მოგვადგა. მალე ოქროსფერი ზარები ცოდნის ტაძარში მოუხმობენ მოსწავლეებს. ხელჩანთიანი სახემცინარე გოგონები და ბიჭუნები სკოლის ეზოში შეაბიჯებენ. ბევრ მათგანს მშობლის თბილი ალერსი პირველად გააცილებს სკოლისკენ.

როგორ ხვდებიან ახალ სასწავლო წელს შავი ზღვისპირა ქალაქ ფოთის სკოლები?

შეიძლება ითქვას, რომ კარგად. ამაში დავრწმუნდით, როცა განათლების განყოფილების გამგესთან ა. ცხადაიასთან, საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხიდის“ რედაქტორთან აკ. ტიკარაძესთან, ამავე გაზეთის თანამშრომელ თ. ჭითანავასთან და პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგესთან ხ. გვახალიასთან ერთად დავათვალიერეთ ქალაქის სკოლები.

ამ კოსწია ქალაქში ოცდაათზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, აგრეთვე რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღი, ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლა და სასწავლებელია. 10 ათასზე მეტი მოსწავლის კომუნისტურად აღზრდის საქმეს 1.000-მდე მასწავლებელი ემსახურება. გასული სასწავლო წელი ქალაქში მაღალი აკადემიური წარმატებით დამთავრდა. მოსწავლეთა აკადემიური წარმატება წინა წლების მაჩვენებლებს დიდად აღემატება. კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი მოეწყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, ბევრმა საწარმო-დაწესებულებებს, ახალმშენებლობებს მიაშურა სამუშაოდ.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებისა და ერთ ცვლად სწავლაზე გადასვლისათვის წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება დროულად და ფართოდ გაიშალა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო ფოთის განათლების მუშაკებს შორის, არამედ მშობლებსა და შეფ ორგანიზაციებშიც. აქ კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს ქალაქის მეოთხე და რკინიგზის საშუალო სკოლებს. მომდინარე რემონტი გაუკეთდა 9 საშუალო სკოლას და 1 საბავშვო ბაღს. ორივე სკოლის კაპიტალური რემონტისათვის გამოიყო 36.650 მანეთი. ხოლო მომდინარე რემონტზე დაიხარჯა ყველმთ გათვალისწინებული 16 ათასი მანეთი. ქალაქის სკოლების, სკოლა-ინტერნატის, ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმისა და სხვა სასწავლებლების შეკეთება, შელესვა, შეღებვა და საკლასო ინვენტარის შეძენა დამთავრებულია. შეძენილ იქნა 100 მერხი, 20 საკლასო დაფა, 4 წიგნის კარადა, შეკეთდა 790 მერხი, 20 დაფა, 90 სკამი, 15 მაგიდა, 18 კარადა და სხვ.

სკოლები და საბავშვო ბაღები გათბობისათვის უზრუნველყოფილი არიან შეშითა და ნახშირით. გახანგრძლივებული ღღის ჯგუფები ჩამოყალიბდა 8 საშუალო სკოლასთან. სასწავლო კაბინეტები შეივსო 4,9 ათასი მანეთის მოწყობილობებით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე 26 მასწავლებელმა აიმაღლა კვალიფიკაცია და სხვ.

დავათვალიერეთ ნაჭაობარზე აშენებული სამი სამსართულიანი ტიპური სკოლა, ერთი სკოლა-ინტერნატი, ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის. ეს უახლოესი 2-3 წლის წინათ აშენდა ქალაქში. ამ წლებში გარდა ახალი სკოლების აშენებისა პირველ, მესამე და მეხუთე საშუალო სკოლებს მიუშენდა ახალი ოთახები 1.000 მოსწავლის ადგილით. მშრომელთა ინიციატივით, შეფი ორგანიზაციებისა და ქალაქის ხელმძღვანელთა დახმარებით ყველაფერი კეთდება ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლისათვის.

ქების ღირსია მერვე საშუალო სკოლა (დირექტორი ხ. გოლოვანოვი). აქ სკოლის რემონტს, მერხებისა და დაფების წესრიგზე მოყვანას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. დირექციამ შეიმუშავა დებულება სკოლის კლასებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ამ ვალდებულებით სასწავლო წლის დასასრულისათვის სრულ წესრიგში უნდა მოეყვანათ საკლასო ოთახები და ინვენტარი.

მოსწავლეთა და მშობელთა ბრიგადებმა, რომლებსაც სკოლის ტექნიკური პერსონალი ხელმძღვანელობდა, დროულად შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი, შელესეს, შეღებეს და გაათბრეს ვესტიბიულები და საკლასო ოთახები. სკოლის რემონტი 25 ივნისისათვის უკვე დამთავრებული იყო.

ბევრი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია მესამე საშუალო სკოლამ (დირექტორი შ. კაკულია), სადაც 5 ათასი მანეთის რემონტი შესრულდა, მაგრამ ბიუჯეტიდან მხოლოდ ათასი მანეთი დაიხარჯა. დანარჩენი სკოლის ძალებითა და საშეფო ორგანიზაციების დახმარებით შესრულდა. საკლასო ოთახებსა და დარბაზებს გაუკეთდა სხვადასხვა ფერის მაღალი პანელები. მერხების ფერები დიდი გემოვნებით არის შესრულებული. მშობელთა კომიტეტმა (თავმჯდომარე ტ. ივანიშინა) და მშობლებმა თ. არჩაიძემ, ბ. დუბინამ, ა. მიქელაძემ, შ. მიქაძემ და სხვებმა ნაყოფიერად იმუშავეს რემონტზე.

კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქის მეორე საშუალო სკოლა (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი პ. ნაცვლიშვილი), ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი (დირექტორი ნ. ქორიძე), მეათე (დირექტორი ე. ბარაბაში) და ქალაქის სხვა საშუალო სკოლები.

სკოლების სამოქმედო უბნებში აღრიცხულ იქნენ სასკოლო ასაკის ბავშვები. ახალ სასწავლო წელს პირველ კლასში პირველად მიუსხდება მერხებს 828 ბავშვი. ამჟამად აღრიცხავენ სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვებს და სკოლიდან გასულ მოსწავლეებს.

სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში დიდ დახმარებას უწევენ შეფები. მათ მერვე, პირველი, მეორე და მეოთხე საშუალო სკოლები მოამარაგეს ზეთის საღებავებით, ხე-ტყის მასალით, ცემენტით, არმატურით, შიფერითა და თუნუქით. ელექტრო-გამაძლიერებელი მანქანების ქარხანამ (დირექტორი ე. კოკიანი) მეშვიდე საშუალო სკოლას გადასცა სამი მოქმედი ჩარხი. ელექტრომოტორი, დაეხმარა ხე-ტყითა და 1 ტონა თუნუქით. „ფოთიელექტროაპარატების“ ქარხანამ (დირექტორი შ. იობიძე) მეოთხე საშუალო სკოლას გადასცა 1 ტონა თუნუქი და შვიდი კუბმეტრი დახერხილი მასალა. სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე მეთერთმეტე სამშენებლო ტრესტი (მმართველი ო. გულუა), წისქვილ-კომბინატი (დირექტორი შ. ხორავა) და სხვა საწარმო-დაწესებულებები.

**გ. ნოდია.**

„კომუნისტის“ საკ. კორ.



# ᲐᲮᲐᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ქალაქებსა და სოფლებში მთავრდება სკოლების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, საეჭსლოფაციოდ გადაეცემა ახალი სასკოლო შენობები, საკლასო ოთახები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზები. სასკოლო მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ საშეფო ორგანიზაციები — რესპუბლიკის ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

როგორ მიმდინარეობს სკოლების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის? ამ კითხვაზე საქალაქო კორესპონდენტს უპასუხა აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ.

— სოციალისტური შეჯიბრება ახალ სასწავლო წელს სკოლების საუკეთესო მზადებისათვის, — თქვა მან, — ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ამან სასურველი შედეგები მოგვცა. ფართო მასშტაბით გაჩაღდა სასკოლო მშენებლობა. ამის შედეგად 1 სექტემბერს საეჭსლოფაციოდ გადაეცემა 20-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა. კაპიტალურად შეკეთებულია 22 სასკოლო შენობა, ხოლო 294 სკოლაში შესრულდა მიმდინარე რემონტი. დამზადებულია ახალი და შეკეთებულია ძველი მერხები, მაგიდები. 15 სკოლაში შექმნილია ახალი სასწავლო სახელოსნოები, ხოლო 64 სკოლაში — ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის კაბინეტები და ლაბორატორიები. 13 სკოლას გამოეყო 26,5 ჰექტარი საერთო ფართობი სასწავლო-საცდელი ნაკვეთები.

სასწავლო მშენებლობაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქობულეთის რაიონის მშრომელებმა. საკმარისია ითქვას, რომ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ქობულეთის რაიონს უკანასკნელ წლებში ექვსჯერ ზედიზედ მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამ დროშებიდან ორი სამუდამოდ დაუტოვეს ქობულეთელებს და ახლა აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

შარშან ბათუმის რაიონმა მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. (საქდესი).

# ᲛᲝᲥᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲝᲛᲘᲚᲘ

### ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ

**ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ**

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** (საკ. კორ.). აქ შ. დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში 12 დღეს მიმდინარეობდა გასტროლები თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრისა.

ზუგდიდელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლები „სიმღერა თბილისზე“, „ჩემი შეშლილი ძმა“, „სალხინობელი“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „ჩანტას კოცნა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხილვა“, „შესანიშნავი სამეული“, „შავი ურჩხული“ და „სტუდენტები“.

თეატრის კოლექტივი ზუგდიდიდან საგასტროლოდ გაემგზავრა სხვა რაიონებში.

**ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** (საკ. კორ.). აღორობის ცხარე დღეებში საზრუნავი არ აკლდათ თელავის რაიონის კულტურის სახლის (დირექტორი დ. კეკენაძე) მუშაკებს. აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულია ვოკალური ჯგუფი „შვიდკაცა“ (ხელმძღვანელი ჯ. ზაალიშვილი), ქორეოგრაფიული ჯგუფი (ხელმძღვანელი ნ. გაგოიძე) და საესტრადო ტრიო (კონცერტმეისტერი და ხელმძღვანელი ჯ. სახიევი) საინტერესო ღონისძიებებს ატარებს მინდვრის მშრომელებთან.

ბრიგადა მოსავლის აღების დამთავრებისთანავე გაემგზავრება მთა ცივის იალაღებზე.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). **ნორჩ მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს თოჯინების სახელმწიფო თეატრი, რომელსაც ოცი წლის ისტორია აქვს.**

**ახლახან ქუთაისის თოჯინების თეატრის მსახიობთა ბრიგადები საგასტროლოდ გაემგზავრნენ რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებში. მოძრავი თეატრის ერთი ჯგუფი მომსახურებას გაუწევს ბორჯომის ხეობის პიონერთა ბანაკებს, ხოლო მეორე ჯგუფი — ქობულეთში მყოფ პიონერებს.**

**თეატრი ნორჩებს თავის ექვს საუკეთესო დადგმას უჩვენებს.**

**ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ** ასსრ კულტურის სამინისტროს სოხუმის სარაიონო კულტურის სახლის მხატვრულმა კოლექტივმა საჯიჯარის ჩაის ფაბრიკის კლუბში მოაწყო სავსტრაღო კონცერტი. პროგრამაში იყო როგორც ქართული, რუსული, სომხური, ისე საზღვარგარეთული სიმღერები, მუსიკალური ფელეტონი, სატირა და იუმორი. სოხუმელი მსახიობების მიერ წარმოდგენილმა კონცერტმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

**რ. ᲥᲐᲯᲐᲘᲐ.**

**ᲐᲡᲐᲠᲘᲥᲘᲡ** კინოთეატრის შენობაში თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა საღამო-კონცერტი გამართა ასპინძელი მაყურებლებისათვის. კონცერტში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინუა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები პ. ინწკირველი, ე. ყიფშიძე, მსახიობები გ. ოსეფაშვილი, გ. გოგუა.

**დ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.**

**ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ** კანონიერების განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრიობის მტკიცე კავშირს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებთან.

შეგვიძლია მოვიყვანოთ იმის მაგალითი, როცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოს მუშაკებთან ერთად ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრებმა—მოწინავე მუშებმა, მოსამსახურეებმა თუ კოლმეურნეებმა ყველა ღონე იხმარეს მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, გასაოცარი გამბედაობა და მამაცობაც კი გამოიჩინეს ამ საქმეში.

მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცველს (იქნება ის მილიციის მუშაკი, სახალხო რაზმელი თუ ცალკეული მოქალაქე) ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი უხდება თავისი სამსახურებრივი თუ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება. ზოგჯერ დამნაშავე-თავდამსხმელი საკვდილის საფრთხეს უქმნის ყველას, ვინც მას აე საქმეში ხელს შეუშლის.

როგორ უნდა იმოქმედოს თავდამცველმა, როცა მას ასეთი საფრთხე ემუქრება?

უწინარეს ყოვლისა იგი ვალდებულია ყოველმხრივ, შეძლებისდაგვარად შეაფასოს თავდასხმით გამოწვეული ვითარება, არ მიმართოს თავდაცვისათვის ისეთი საშუალებას, რომელიც აშკარად შეუსაბამო იქნება მოსალოდნელ საშიშროებასთან, ე. ი., კანონს ენით რომ ვთქვათ, არ გადააცილოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა გ-ვას ბრალდების საქმე (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში).

შეტანილი პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გ-ვას მოქმედებას კვალიფიკაცია მისცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105 მუხლით და ადრე შეფარდებული 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა თავისუფლების აღკვეთით 10 წლის ვადით. დადასტურებული იყო, რომ გ-ვას და მის ამხანაგებს ჩხუბი აუტეხეს და ქვების სროლა დაიწყეს. გ-ვამ წინადადება მისცა თავდამსხმელებს შეიწყვეტინ ჩხუბი, წინაღმდეგ შემთხვევაში ესროდა რევოლვერს. იმის გამო, რომ ჩხუბი და ქვების სროლა არ შეწყდა, გ-ვამ ჯერ ჰაერში გაისროლა რევოლვერი, ხოლო შემდეგი ორი გასროლიდან ერთი ტყვია ერთ-ერთ თავდამსხმელს — ე-ლს მოხვდა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება არსებითად შეცვალა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, რომელმაც მიიჩნია, რომ გ-ვას მოქმედება არ იყო კანონზომიერი და რომ მან გადაამეტა აუცილებელი მოგერიების საზღვრის ფარგლებს. მომხდარი გამაფრთხილებელი გასროლის მიუხედავად თავდასხმა გრძელდებოდა, რაც უფლებას აძლევდა მას მიეღო თავდამსხმელთა წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებანი, მაგრამ თავდაცვისათვის გამოიყენა ისეთი საშუალება, რომელიც თავდასხმის ხასიათის მიხედვით არ იყო აუცილებელი.

ამ გარემოების გათვალისწინებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გ-ვას სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

ამ საკითხის დადგენისას, მოქმედება თუ არა ესა თუ ის პირი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, საჭიროა უდიდესი სიზუსტით იქნას გარკვეული თავდამცველის მოქმედების საზღვარი. პირველ რიგში აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული თავდამცველისადმი მიმართული მოქმედების საშიშროების ხასიათი, აგრეთვე ის პირობები და საშუალებანი, რომლის გამოყენება შეეძლო თავდამცველს თავდასხმიდან გამომდინარე საშიშროების თვალიდან ასაცილებლად.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავდასხმის დროს თავდამცველს ყოველთვის არ შესწევს უნარი ზუსტად შეაფასოს მოსალოდნელი საშიშროება: შიშის, დაბნეულობისა თუ აღელვების გამო ზუსტად ვერ ერკვევა ვითარებაში, ამიტომ უძნელდება თავდაცვის ისეთი საშუალება გამონახოს, რომელიც თავდამსხმელისაგან მოსალოდნელი საშიშროების შესაბამისი იქნება.

ძნელია, მაგალითად, ზუსტად გაერკვეს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, ემუქრება თუ არა მის სიცოცხლეს სიკვდილის საშიშროება, როცა მას თავს ესხმის შეიარაღებული ვიგინდარა. თუ ასეთ თავდასხმას მძიმე შედეგი მოჰყვა თავდამსხმელის საზიანოდ, ამ შემთხვევაში ყოველმხრივ შემოწმებაა საჭირო, რათა გაირკვეს, გამოვიდა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი აუცილებელი მოგერიების საზღვრის ფარგლებიდან. აქ უსათუოდ მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ის გარემოება, რომ მას არ შეეძლო შეუცდომლად აეწონა, რამდენად რეალური იყო საფრთხე.

თავს რომ გვესმიან, თავდაცვა აუცილებელია. აქ ბუნებრივად ბადება კითხვა: რა უნდა გაითვალისწინოს თავდამცველმა, რომ მოგერიების საბაბით თვითონ არ ჩაიდინოს დანაშაული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ გადააცილოს აუცილებელი მოგერიების საზღვარს. როცა წყდება საკითხი, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა თუ არა თავდამცველი, საჭიროა ორმად და დეტალურად შევისწავლოთ რა გარემოებაში მოხდა შემთხვევა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 69 წლის მოქალაქე მ-ნი დანაშაულად ცნო განზრახ მკვლელობაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. მას ბრალად ედებოდა, რომ სანადირო თოფის გასროლით მოკლა მოქ. გ. კ-ნი.

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: წითელწყაროს კოლმეურნეობის მეველემ ნათესებში დააკავა 19 ცხვარი, მირეკა კოლმეურნეობაში და ჩაბარა კოლმეურნეობის დარაჯს მსჯავრდადებულ მ-ს, ამასთანავე გააფრთხილა იგი, რომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ნებადაურთველად არავისთვის მიეცა პირუტყვი. ცოტა ხნის შემდეგ ცხვრების პატრონი ა. ზ-ნი მივიდა დარაჯთან და თხოვნა დაუწყო დაებრუნებინა მისთვის ცხვრები. დარაჯმა კატეგორიული უარი უთხრა, რის გამო ჩხუბიც ატყდა მათ შორის. დარაჯმა მსუბუქი დაზიანება მიაყენა ა. ზ-ნს ყურის არეში.

გასისხლიანებული მეცხვარე შინისკენ გაემართა. მას გზაში თავისი შვილი გ. ზ-ნი შეხვდა, რომელსაც დაწვრილებით უამბო მომხდარი შემთხვევის შესახებ.

მამის შეურაცხყოფით განაწყენებული შვილი დაუყოვნებლივ წავიდა დარაჯთან შესახვედრად. ამ უკანასკნელმა დაინახა თუ არა გაბრაზებული გ. ზ-ნი, თოფი მიუშვირა და გააფრთხილა ახლოს არ მიუროლიყო. გ. ზ-ნი კი თავის მხრივ წინადადებას აძლევდა დარაჯს— არ ესროლა მისთვის, თანაც მისკენ მიიწევდა. ამ მომენტში დარაჯმა გაისროლა და მუცლის არეში მძიმედ დაჭრა მოძალადე, რომელიც საავადმყოფოში მოყვანის დღესვე გარდაიცვალა. ბრალდებული არ უარყოფდა მკვლელობის ჩადენას და განმარტავდა, რომ, დაინახა რა მისკენ მიმავალი ა. ზ-ნი და მისი ორი შვილი, დარწმუნდა, რომ მკაცრად გაუსწორდებოდნენ მას, რისთვისაც შემართა თოფი და დაუყვირა მათ შეჩერებულიყვნენ. რაკი არ შეჩერდნენ, იცადა რა თავს, ესროლა თავდამსხმელს. ეს ჩვენება დადასტურებული იყო საქმეში არსებული სხვა მასალებთაც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1964 წლის 15 იანვარს განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი ამ საქმეზე და ცნო, რომ დარაჯი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამასთან გადაამეტა აუცილებელი მოგერიების საზღვარს, რაც იმით გამოიხატა, რომ გაუფრთხილებლად იხმარა იარაღი და არ მიიღო სხვა ზომები მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად (გასროლა ჰაერში და სხვ.).

ამის გათვალისწინებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კანონის სრული შესაბამისობით მოუხსნა აღრე წარდგენილი ბრალდება და დამნაშავედ ცნო იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) და სასჯელის ღონისძიებად ნაცვლად 12 წლისა შეუფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მართალია, ცხვრის პატრონი და მისი შვილები შეიარაღებული არ ყოფილან, მაგრამ დარაჯი მოხუცი იყო და თავდამსხმელებს უიარაღოდაც შეეძლოთ მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ.

მკვლელობისათვის, თუ იგი დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი, სასჯელის უმაღლესი ზომა—სიკვდილით დასჯაც კი

# ᲛᲝᲥᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲝᲛᲘᲚᲘ

### ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ

ემუქრება თუ არა მის სიცოცხლეს სიკვდილის საშიშროება, როცა მას თავს ესხმის შეიარაღებული ვიგინდარა. თუ ასეთ თავდასხმას მძიმე შედეგი მოჰყვა თავდამსხმელის საზიანოდ, ამ შემთხვევაში ყოველმხრივ შემოწმებაა საჭირო, რათა გაირკვეს, გამოვიდა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი აუცილებელი მოგერიების საზღვრის ფარგლებიდან. აქ უსათუოდ მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ის გარემოება, რომ მას არ შეეძლო შეუცდომლად აეწონა, რამდენად რეალური იყო საფრთხე.

თავს რომ გვესმიან, თავდაცვა აუცილებელია. აქ ბუნებრივად ბადება კითხვა: რა უნდა გაითვალისწინოს თავდამცველმა, რომ მოგერიების საბაბით თვითონ არ ჩაიდინოს დანაშაული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ გადააცილოს აუცილებელი მოგერიების საზღვარს. როცა წყდება საკითხი, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა თუ არა თავდამცველი, საჭიროა ორმად და დეტალურად შევისწავლოთ რა გარემოებაში მოხდა შემთხვევა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 69 წლის მოქალაქე მ-ნი დანაშაულად ცნო განზრახ მკვლელობაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. მას ბრალად ედებოდა, რომ სანადირო თოფის გასროლით მოკლა მოქ. გ. კ-ნი.

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: წითელწყაროს კოლმეურნეობის მეველემ ნათესებში დააკავა 19 ცხვარი, მირეკა კოლმეურნეობაში და ჩააბარა კოლმეურნეობის დარაჯს მსჯავრდადებულ მ-ს, ამასთანავე გააფრთხილა იგი, რომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ნებადაურთველად არავისთვის მიეცა პირუტყვი. ცოტა ხნის შემდეგ ცხვრების პატრონი ა. ზ-ნი მივიდა დარაჯთან და თხოვნა დაუწყო დაებრუნებინა მისთვის ცხვრები. დარაჯმა კატეგორიული უარი უთხრა, რის გამო ჩხუბიც ატყდა მათ შორის. დარაჯმა მსუბუქი დაზიანება მიაყენა ა. ზ-ნს ყურის არეში.

გასისხლიანებული მეცხვარე შინისკენ გაემართა. მას გზაში თავისი შვილი გ. ზ-ნი შეხვდა, რომელსაც დაწვრილებით უამბო მომხდარი შემთხვევის შესახებ.

მამის შეურაცხყოფით განაწყენებული შვილი დაუყოვნებლივ წავიდა დარაჯთან შესახვედრად. ამ უკანასკნელმა დაინახა თუ არა გაბრაზებული გ. ზ-ნი, თოფი მიუშვირა და გააფრთხილა ახლოს არ მიუროლიყო. გ. ზ-ნი კი თავის მხრივ წინადადებას აძლევდა დარაჯს— არ ესროლა მისთვის, თანაც მისკენ მიიწევდა. ამ მომენტში დარაჯმა გაისროლა და მუცლის არეში მძიმედ დაჭრა მოძალადე, რომელიც საავადმყოფოში მოყვანის დღესვე გარდაიცვალა. ბრალდებული არ უარყოფდა მკვლელობის ჩადენას და განმარტავდა, რომ, დაინახა რა მისკენ მიმავალი ა. ზ-ნი და მისი ორი შვილი, დარწმუნდა, რომ მკაცრად გაუსწორდებოდნენ მას, რისთვისაც შემართა თოფი და დაუყვირა მათ შეჩერებულიყვნენ. რაკი არ შეჩერდნენ, იცადა რა თავს, ესროლა თავდამსხმელს. ეს ჩვენება დადასტურებული იყო საქმეში არსებული სხვა მასალებთაც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1964 წლის 15 იანვარს განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი ამ საქმეზე და ცნო, რომ დარაჯი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამასთან გადაამეტა აუცილებელი მოგერიების საზღვარს, რაც იმით გამოიხატა, რომ გაუფრთხილებლად იხმარა იარაღი და არ მიიღო სხვა ზომები მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად (გასროლა ჰაერში და სხვ.).

ამის გათვალისწინებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კანონის სრული შესაბამისობით მოუხსნა აღრე წარდგენილი ბრალდება და დამნაშავედ ცნო იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) და სასჯელის ღონისძიებად ნაცვლად 12 წლისა შეუფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მართალია, ცხვრის პატრონი და მისი შვილები შეიარაღებული არ ყოფილან, მაგრამ დარაჯი მოხუცი იყო და თავდამსხმელებს უიარაღოდაც შეეძლოთ მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ.

მკვლელობისათვის, თუ იგი დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი, სასჯელის უმაღლესი ზომა—სიკვდილით დასჯაც კი

# ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲘᲓ ᲞᲝᲔᲢᲗᲐᲖᲔ

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა გამოჩენილი ქართველი ფსიქოპათოლოგის, ფსიქიატრისა და ნევრომორფოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის. აკადემიკოსის აპოლონ ზურაბაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“.

ეს პატარა, მაგრამ უთუოდ ძალიან დიდი მნიშვნელობის წიგნი სრულიად ახალი სიტყვა ქართული მხატვრული სიტყვისა და ფილოსოფიურ განჭვრეტათა გენიალური შემოქმედის შოთა რუსთაველის უბადლო პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომელნიც რუსთაველის შემოქმედებითი გენია, აზრთა სიღრმე, ერუდიცია და ცოდნის სიფართე განხილულია მისი გმირების პიროვნული თვისებათა, განწყობათა, ქცევათა და ქმედებათა ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ანალიზის შუქზე.

ა. ზურაბაშვილი წიგნის პირველ თავში — პერსონოლოგიის აქტუალური პრობლემები, წერს: „ბუნებისმეტყველების ევოლუციურ ასპექტს, პირველ რიგში მოძღვრებას ტვინის სტრუქტურული და ფუნქციონალური ჩამოყალიბების შესახებ, იმ დასკვნამდე მივყავართ. რომ ადამიანის ფსიქიკური აპარატის სპეციფიკას მისი პიროვნული თვისებები შეადგენს“. ამ ზოგადი დასკვნის გაკეთების შემდეგ ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პიროვნული თვისებების ანუ პერსონოლოგიის საკითხებს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პიროვნული თვისებების განხილვამდე მეცნიერი განიხილავს ერთ საინტერესო ზოგად პრობლემას, კერძოდ, ცრემლის პრობლემას და დაასკვნის: „ცრემლები არ არის ადამიანის სუბიექტური სამყაროს მარტივად ამსახველი სარკე. იგი დაკავშირებულია ღრმა და რთულ ემოციურ ძვრებთან.

ემოციების მუდმივი თანამგზავრი— ცრემლები საჭიროებს მრავალმხრივ ანალიზს და ინდივიდუალურ შეფასებას“.

ამავე თავში განხილულია ავთანდილის პიროვნული თვისებებიც და მიითითებულია, რომ ავთანდილი იდეალური მეგზურის განსახიერებაა. ავთანდილის მორალური ძალა ურყევია მსჯელობის მეტად რთული სიტუაციის პირობებშიც. შოთა რუსთაველის მიხედვით შემთხვევითი გარემოება არ ახდენს ზეგავლენას (და არც უნდა ახდენდეს) ადამიანის მორალურ კეთილსულობაზე.

ტარიელის პერსონის განხილვის დროს ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტარიელი განსაკუთრებით მდიდარი ფიზიკური და ფსიქიკური ნიჭის ადამიანი ყოფილა. ტარიელი ერთ-ერთ ადგილზე ამბობს: „ბედნიერ ადამიანად ჩაითვალა ეს ბედი, ბედნიერ ადამიანად ეს ბედი, ბედნიერ ადამიანად ეს ბედი“.

# უჩვეულო რეისი

## დაწვრილებითი ცნობები კატასტროფაზე, რომელიც არ მოხდა

**მთავარი** იყო მანქანის შენარჩუნება ზოლზე. აეროფლოტში მუშაობის ექვსი წლის მანძილზე 220-ადგილიანი ლაინერი „ტუ-114“ პირველად ჯდებოდა შასის ერთ მხარეზე.

...ასაფრენი ზოლის უკანასკნელი მეტრები. ხომალდის მეთაურმა იგორ ბუზიკმა მკვეთრი ბიძგი იგრძნო.

— მარჯვენა შასის საბურავები გადაგეწვა, — აცნობეს მას დედამიწიდან.

დაეშვას თუ განაგრძოს ფრენა?..

ბუზიკმა გადაწყვიტა განეგრძო რეისი. და ამის ნებართვა მიიღო.

ცხრა საათის განმავლობაში, რა ხანსაც გრძელდებოდა ფრენა ხაბაროვსკი-მოსკოვი, ლაინერის მგზავრებმა არაფერი არ იცოდნენ: ისაუზმეს, ისადილეს... ცხრა საათს იღიმებოდნენ, მგზავრებს უურნალებს აწვდიდნენ, კითხვებზე უპასუხებდნენ ბორტგამცილებლები ინა კირიავინენის მეთაურობით.

ზუსტად განრიგების მიხედვით ბუზიკმა თავისი თვითმფრინავი მოსკოვის აეროპორტ დომოდედოვოს რაიონში გაიყვანა. სამწუხაროდ, მას კიდევ არ შეეძლო დამკვიდრიყო — საჭირო იყო დაეხარჯა დარჩენილი საწვავი, რომ შეემცირებინა მანქანის დასაჯდომი წონა. დრო გადიოდა. თვითმფრინავი ფრენას განაგრძობდა. მხოლოდ მაშინ. როცა სტიუარდესებმა სთხოვეს მგზავრებს ხრახნების ბრუნვის ზონაში მყოფი ადგილებიდან გადამსხდარიყვნენ, მათ იგრძნეს, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო.

...ცხრა საათს ელოდა მოსკოვი 76481 ნომრიან თვითმფრინავს. აეროდრომის მინდორზე იდგა ოცი სახანძრო მანქანა, წითელჯვრიანი „ვოლგები“. დომოდედოვოში ჩავიდა ამ საპაერო ხომალდის შემქმნელი გენერალური კონსტრუქტორი ანდრია ტუპოლევი.

ასეთი დაჯდომა „ტუ-114“-ს პირველად უნდა მოეხდინა, თუმცა ჯერ კიდევ მანქანის შექმნის დროს ეს შემთხვევაც გათვალისწინებული იყო — გამომცდელი მფრინავები ასეთ დაჯდომას ასრულებდნენ. თეორიულად ბუზიკმა იცოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედნა ასეთ შემთხვევებში. მაგრამ მხოლოდ თეორიულად. თავის ჩვიდმეტი წლის საფრენოსნო პრაქტიკაში (იგორ ბუზიკმა ფრენა დაიწყო მსუბუქმოტორიანი „პო-2“-ით, შემდეგ ფრინავდა „ილ-12“-ით, „ტუ-104“-ით და, ბოლოს, ყველაზე დიდი საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ლაინერ „ტუ-114“-ით) მანქანის ასე დახმა მას პირველად უნდებოდა...

თვითმფრინავმა საწვავი დახარჯა, და ბუზიკმა იგი დასაჯდომად წაიყვანა. სიმაღლემზომის ისარმა დაცემა იწყო. სამასი, ორასი, ასი, ორმოცდაათი, ათი...

წინა „ფეხი“ და შასის დაუზიანებელი მარცხენა სადგარი რბილად შეეხნენ ბეტონს. მანქანა ზოლზე მიჰქრის: მთავარია დაიცვას მიმართულება, არ გავიდეს გრუნტზე. დაზიანებული შასი ჯერ კიდევ მაერშია. ბუზიკი სიჩქარეს აჭრობს. წამი, მეორე, და დაზიანებული მარჯვენა ურიკას ფოლადის დოლები ბეტონს გლეჯენ, ნაპერწკლებს აფრქვევენ.

ვიქტორ ბოდროვმა, იმ რაზმის მეთაურის მოადგილემ საფრენოსნო ნაწილში, რომელშიც ამ ხომალდის ეკიპაჟი შედის, დაგვიხატა ბუზიკის დაჯდომის სქემა. „ნახატი“ რთული როდი იყო: ბეტონს ზოლის აღმნიშვნელი ორი ხაზი და ერთიც შუაში — თვითმფრინავის მოძრაობა. შუა ხაზი ისევე სწორია, როგორც ორი სხვა.

თვითმფრინავი გაჩერდა, ხრახნები დადუმდნენ, ხომალდს ტრაპები მოადგნენ.

— გარეგნულად ამ დაჯდომას თითქოს ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, — გვიამბო ბოდროვმა, — თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბუზიკის თვითმფრინავმა ინსტრუქციით გათვალისწინებულზე შვიდასი მეტრით მეტი გაირბინა.

...ჩვენ ვნახეთ ეს თვითმფრინავი. შორიდან იგი არაფრით არ განსხვავდება მის გვერდით მდგომი სხვა „ტუ“ თვითმფრინავებისაგან. მხოლოდ მასთან რომ მივედით, შევამჩნიეთ მისი დასახიჩრებული „ფეხი“, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ მექანიკოსები.

— მალე იგი კვლავ წავა რეისში, — თქვა ბოდროვმა.

მორიგი ფრენისათვის ეზადება იგორ ბუზიკიც. მას სტუმრად ვეწვიეთ. იგორს მიაჩნია, რომ ეს შემთხვევითი ამბავი იყო. „ხაქმე მშვიდობით რომ დამთავრდა, ეს არა მარტო ჩვენი ეკიპაჟის დამსახურებაა, — ხაზგასმით აღნიშნა მან. — „ტუ-114“ დიდ შესაძლებლობათა მანქანაა“.

ამავე საღამოს შევხვდით ამ არაჩვეულებრივი რეისის სხვა მონაწილეებს. მის მგზავრებს შორის ას თერთმეტი უცხოელი იყო: ფრანგები, იტალიელები, იაპონელები, შვედები.

მივედით მოსკოვის სახტუმრო „სენტრალნაიაში“, სადაც გაჩერებულიყო ცხრამეტი იაპონელი ტურისტი, რომლებიც ხაბაროვსკიდან მოსკოვში მოფრინავდნენ.

— თვითმფრინავს რაღაც რომ შეემთხვა — გვითხრა ჯგუფის ხელმძღვანელმა ბატონმა ფუკუვატარიმ, — ჩვენ შევიტყეთ მხოლოდ დაჯდომის წინ, როცა სტიუარდესამ — არ შემძლია ჯეროვნად არ დავაფასო მისი თავდაჭერილობა — გვთხოვა სხვა ადგილებზე გადავმსხდარიყავით. სხვა მხრივ ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ევროპაში მოგზაურობის შემდეგ მოსკოვში დავბრუნდებით და ასეთი თვითმფრინავით გავფრინდებით ხაბაროვსკში.

**ოლეგ მორსკოვი,**
**გენადი გალკინი,**
ახალი ამბების საგენტოს სპეციალური კორესპონდენტები.

**სურათზე:** ი. ბუზიკი.

# ჩვენს ყარ-ჭყარეში

**გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები**

## რა აშენდა, რა აშენდება

**წყალტუბო.** რაიონის სოფლებში ძლიერდება მშენებლობათა ტემპი. პირველ სექტემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საშუალო სკოლის შენობა პატრიკეთში, ხოლო რვაწლიანი სკოლის შენობა მაღლაკში. სოფელ ფარცხანაყანევში საექსპლოატაციოდ გადაეცა კლუბ-კინტორის შენობა. შენდება მაღლაკის კლუბ-კინტორისა და ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოს შენობები, სოფელ მუხიანში დაწყებულია დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი მეფრინველეობის სადგურის მშენებლობა.

მშენებლები ცდილობენ წლის ბოლოსათვის დაამთავრონ მეფრინველეობის სადგურის პირველი რიგის მშენებლობა. იმ პირველ კვარტალში შეუდგეს წიწილების ანგარიშით, რომ იგი მომავალი წლის გაშორეკვას და ფრინველების გამოზრდას.

ავტომატური სატელეფონო სადგურები აშენდა სოფლებში მაღლაკში, გვიმტიბსა და ოფშკვითში. მიმდინარეობს სოფლების მექვენისა და ცხუნკურის მთლიანი რადიოფიცირების სამუშაოები. რაიონის კავშირგაბმულობის კანტორიდან ლენტეხამდე და ცაგერამდე მოეწყო 12-არხიანი სატელეფონო კავშირი.

ბევრ სოფელში შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

(საქდესი).

## მეზღვაურთა კავშირი

**დიდი** ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა თავისი მორიგი შრომითი გამარჯვება ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კოლექტივმა, რომელიც სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით, შორეულ ატლანტის ოკეანეში თითქმის შვიდი თვის მანძილზე აწარმოებდა თევზის რეწვას.

ჩვენმა რედაქციამ ტრაულერიდან მიიღო სასიხარულო დეპეშა. აი რას იტყობინებიან ეკიპაჟის წევრები:

„თევზსაჭერმა ტრაულერმა „შოთა რუსთაველმა“ დაამთავრა თავისი მორიგი მეშვიდე რეისი და შინ შრომითი საჩუქრებით ბრუნდება. ტრაულერის ეკიპაჟმა დიდი გამარჯვება მოიპოვა — 15.950 ცენტნერის ნაცვლად გაყინულია 21 ათასი ცენტნერი მაღალხარისხოვანი თევზი და დიდი რაოდენობით დამზადებულია თევზის ფქვილი. სულ ნაწარმოებია 33 ათასი ცენტნერი თევზის ნედლეული. „შოთა რუსთაველი“ მალე ფოთის ნავსადგურში ჩაუშვებს ღუზას“.

## ნაირ-ნაირი

**ჩვენი** სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ყოველდღე მოდიან მოგზაურობის მოყვარულნი ზუგდიდის ტურისტულ ბაზაში (დირექტორი ო. დარასელია). ბევრი სტუმარი ჩამოდის საზღვარგარეთიდანაც. ისინი ეცნობიან ბუნების სილამაზით განთქმულ სვანეთის ხეობას, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს და სხვ.

ზუგდიდის ტურისტული ბაზა წლევანდელ სეზონში ცხრაათასამდე ტურისტს მიიღებს.

**ბ. ალშიბაია.**

**ამას წინათ** ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნორჩებმა მიიღეს ბაგა-ბალის ახალი კეთილმოწყობილი შენობა. ამან დიდი შეღავათი მისცა კოლმეურნე ქალებს. ახლა მათ შეუძლიათ მეტი დრო მოახმარონ საკოლმეურნეო შრომას.

**ამ დღეებში** ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის კოლმეურნეებმა მოაწყეს ექსკურსია ვარძიაში. ექსკურსანტებმა ლიდი ინტერესით დაათვალიერეს ქართული კულტურის ეს უძველესი ძეგლი.

**ც. ცინცაბაძე.**



**ბარათაშვილის ხიდთან.**

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

## სამოქალაქო ავიაციის ახალი კადრები

**დამთავრდა** მისაღები გამოცდები სამოქალაქო ავიაციის სასწავლებლებში. გამოცდები მიმდინარეობდა თბილისის 124-ე საშუალო სკოლაში.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მიმღები კომისიის წევრმა, სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსმა ნ. ბარნოვმა თქვა:

— წელს სამოქალაქო ავიაციის საფრენოსნო და ტექნიკური სასწავლებლებში საქართველოდან სასწავლებლად წავა 108 კაცი. საავიაციო სპეციალობებს ისინი დაეუფლებიან სხვადასხვა საფრენოსნო სასწავლებლებში.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც გადაწყვიტეს ავიაციაში მუშაობა მოვიდა წარმოებიდან. — თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის საწარმოებიდან, რესპუბლიკის ბევრი რაიონის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. (საქდესი).



# ჟურნალისტთა საერთაშორისო

**ჟურნალისტთა** საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოუშვა 1967 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში აცნობეს, სათვალავით მესამე ლატარიის აწყობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, მონღოლეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტები. ლატარიის სახსრები მოხმარდება ამ ჟურნალისტებთან სოლიდარობის ფონდს, რომლებიც დევნას განიცდიან თავიანთი პროგრესული მრწამსისათვის.

პირველ გამოშვებებთან შედარებით მესამე ლატარიაში დიდდება მოგებათა რაოდენობა. მოგება 32 ათასი იქნება. მათ შორის 42 მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, „ვარტბურგი“, „ტრაბანტი“, ტურისტული საგზურები და დასასვენებელი სახლების საგზურები ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ფოტოაპარატები, კინოკამერები, ტრანზისტორული რადიომიმღებები.

ტირაჟი გაიმართება 20 დეკემბერს პრაღაში. 30 კაპიკი ღირებულების ბილეთებს სექტემბერში გაავრცელებენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ადგილობრივი განყოფილებანი.

## ლ. დ. სანიკიძე—
### ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

**ქუთაისის** ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა **ლევან დავითის-ძე სანიკიძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„აღმოსავლეთის საკითხი რომის რესპუბლიკის ისტორიაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ლევან დავითის-ძე სანიკიძისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

## ვ. მ. ქვაჩახია—
### ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ვენორ მიხეილის-ძე ქვაჩახიამ** უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმათა ურთიერთკავშირი და ესთეტიკური ღირებულების პრობლემა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვენორ მიხეილი-ძე ქვაჩახიასათვის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## მ. ფ. ხარებავა—
### სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**საქართველოს** სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკოლოგიისა და სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრის გამგემ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **მამია ფილიპეს-ძე ხარებავამ** საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. ფ. ხარებავასათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

# გ. ნოდიას ორი გოლი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:0 (1:0). თბილისი. 15 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ს. ალიმუსი (მოსკოვი).

„დინამო“ — ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, კუტივაძე, გიორგაძე (იამანიძე), ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, დათუნაშვილი; „ტორპედო“ —კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, ზარია (ჭითანავა), ილიადი, ერქომაიშვილი, ვეკუა, ხუციშვილი, ასიტაშვილი.

**საკავშირო ჩემპიონატებზე** ჩვენი რესპუბლიკის ორი კოლექტივის — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩი ყოველთვის იდგა ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში. ასე იყო გუშინაც. ეს კოლექტივები მეორე წრის მატჩში ხვდებოდნენ ერთმანეთს, პირველი შეხვედრა კი ქუთაისში ფრედ (1:1) დამთავრდა.

სატურნირო მდგომარეობა მეტოქეებს უკარნახებდა ეთამაშათ მხოლოდ მოგებაზე. ეს განწყობილება იგრძნობოდა მთელ თამაშში, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში. ბრძოლა კორექტული და ტემპიანი გამოდგა. მალე თავი იჩინა მასპინძელთა უპირატესობამ, რამაც შედეგიც გამოიღო. მე-7 წუთზე დინამოელებმა მეტოქის კარი აიღეს. გოლის ავტორი იყო **გ. ნოდია.**

ამ ბურთს სტუმართა საბრძოლო განწყობილებაზე გავლენა არ მოუხდენია. ისინი მოქმედებდნენ მთელი მონდომებით. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ურუშაძემ შეცდომა დაუშვა, კარი ღიად დარჩა და ტორპედოელებს რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ წონასწორობა აღედგინთ, მაგრამ ხელიდან გაუშვეს ეს მომენტი.

მეორე ტაიმი სტუმართა იერიშებით დაიწყო. 52-დან 59-ე წუთამდე ქუთაისელებს ოთხჯერ შეეძლოთ საპასუხო ბურთის გატანა, ოთხივეჯერ დინამოელთა კარი გადაურჩა გოლს. 63-ე წუთზე კი **გ. ნოდიამ** მეორე ბურთი გაიტანა „ტორპედოს“ კარში.

ეს გოლი უკანასკნელი აღმოჩნდა. დინამოელებმა გაიმარჯვეს 2:0.

## „ა“ კლასის მეორე ჯგუფი

**გუშინ** გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

**ტყიბულში** ერთმანეთს შეხვდნენ აგდელობრივი „მეშახტე“ და ვალენოსელის „ყალგორისი“. გაიმარჯვეს ტყიბულელებმა 2:0. ორივე ბურთი გატანილ იქნა პირველ ტაიმში. გოლებს ავტორები იყვნენ ჩხარტიშვილი და სირაძე.

**ბათუმში** თამაშობდნენ გომელის „სპარტაკი“ და ბათუმის „დინამო“. წარმატება დინამოელებს ხვდათ. ანგარიშია 2:0.

**ალმა-ატაში** თამაშობდნენ „კირატისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. აქ მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრეს.

## მატჩები და შედეგები

**გუშინ** გარდა თბილისისა კიდევ ექვს ქალაქში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

**სსრ კავშირის** ჩემპიონი — კიევის „დინამო“ ამჯერად საკუთარ მოედანზე ოღესის „ჩერნომორეცთან“ თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა ოღესაში ფრედ 0:0 დამთავრდა, გუშინ კი გაიმარჯვეს კიეველებმა. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთად-ერთმა გოლმა.

ლენინგრადელ ჯგუფის წარმომადგენელი დონეცკის „შახტიორი“ თავის მოედანზე დონის როსტოვის არმის სასპორტო კლუბის გუნდს შეხვდა და დამარცხდა 0:1. ამრიგად, უკანასკნელ სამ მატჩში „შახტიორმა“ ხუთი ქულა დაკარგა.

**ბაკური** ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის — ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და ერევნის „არარატის“ მატჩი ყოველთვის გამორჩეული ბრძოლის სიმწვავით. გუშინაც ასე იყო. ერევნელებს „ნეფტიანიკთან“ პირველ წრეში დამარცხებისათვის (0:1) რევანში სწყუროდათ, და ეს მათ კიდევაც შეასრულეს. ერევნელთა ორ გოლს ბაქოელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს.

**მოსკოვში** მატჩი ჰქონდათ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს. მეტოქეთა ყოველგვარი ცდა როგორმე წარმატებისათვის მიეღწიათ უშედეგო გამოდგა და მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა.

**მინსკში** დინამოელები თბილისიდან ლენინგრადს ეწვევნენ და აქ შეხვდნენ ჩემპიონატის აუტსაიდერს — ადგილობრივ „ზენიტს“. აქაც ბურთი არ გაუტანიათ— ფრე 0:0.

**ალმა-ატაში** თამაშობდნენ „კირატისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. აქ მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრეს.

## მოედანზე მოზარდი თაობა

**თასი — მოსკოველებს**

**სევეროდონეცკში** დამთავრდა საკ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის პრიზის — „სიჭაბუკის თასის“ გათამაშება ფეხბურთში.

ბრძოლა თასისათვის ძირითადად მოსკოვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის კოლექტივებს შორის წარიმართა. თასი მოსკოველებს ხვდათ. საქართველოს ფეხბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე იყო აზერბაიჯანის გუნდი.

**„ტყავის ბურთი-67“**

**დონის როსტოვში** „როსტსელმაშის“ სტადიონზე „გრძელდება დასკვნითი შეჯიბრება ფეხბურთში „ტყავის ბურთის“ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუნორთა 24 კოლექტივი.

საქართველოს გუნდს — „ნაკადულს“, რომელიც წარმატებით გამოდის გუშინ პაექრობა ჰქონდა ქ. ბენდერის „ზვეზდოჩკასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

## გათამაშების ცხრილი

**„ა“ კლასის პირველი ჯგუფი**

**მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 20 | 12 | 7 | 1 | 38-11 | 31 |
| „დინამო“ (კ.) | 21 | 10 | 9 | 2 | 25- 9 | 29 |
| „დინამო“ (თბ.) | 21 | 10 | 8 | 3 | 30-14 | 28 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 20 | 10 | 6 | 4 | 27-16 | 26 |
| „შახტიორი“ (დ.) | 21 | 8 | 9 | 4 | 25-24 | 25 |
| „ნეფტიანიკი“ (ბ.) | 21 | 8 | 7 | 6 | 34-22 | 23 |
| „დინამო“ (მნ.) | 21 | 7 | 9 | 5 | 29-21 | 23 |
| „კრ. სოვ“. | 20 | 5 | 12 | 3 | 12- 8 | 22 |
| „ტორპედო“ (მ.) | 21 | 9 | 4 | 8 | 25-26 | 22 |
| სკა (როსტ.) | 21 | 9 | 4 | 8 | 20-24 | 22 |
| „არარატი“ (ერ.) | 21 | 6 | 7 | 8 | 18-23 | 19 |
| „ზარია“ (ლუგ.) | 20 | 5 | 8 | 7 | 14-16 | 18 |
| ცსკა | 20 | 6 | 6 | 8 | 18-22 | 18 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 21 | 3 | 11 | 7 | 19-23 | 17 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 21 | 4 | 8 | 9 | 19-29 | 16 |
| „ლოკომოტ.“ (მ.) | 21 | 4 | 6 | 11 | 15-24 | 14 |
| „ჩერნომორ.“ (ო.) | 21 | 4 | 6 | 11 | 13-29 | 14 |
| „კირატი“ (ალმ.) | 21 | 3 | 8 | 10 | 15-31 | 14 |
| „ზენიტი“ (ლ.) | 21 | 5 | 3 | 13 | 14-38 | 13 |

## ფეხბურთი

## ტელევიზია

**16 აგვისტო**

09.30 — კინონარკვევი, 09.50— მხატვრული ფილმი „უდანაშაულო დამნაშავენი“. 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — გერმანული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ენსისა და პეტრუშკას ზღაპარი“, 18.50 — განცხადებები, 18.55—დიადი თარიღის შესახვედრად — „ხევსურეთის იალაღებზე“, 19.15 — კონცერტი, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა — „დავიწყებული ფირები“, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი“ მოსკოვი — „დინამო“ მოსკოვი. მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 მხატვრული ფილმი „უდანაშაულო დამნაშავენი“.

**17 აგვისტო**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის — „ეგავარაკები“, 18.20 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — განცხადებები, 18.45 — გადაცემა „ოქტომბრის შუქით“ განახლებული ლენინუმი, 19.45 — საუბარი „სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, 20.00 — გადაცემა — „მამათა სიმღერები“, 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1918 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „გამოიძახეთ მარტინი!“, 23.10 — გადაცემათა პროგრამა 18 აგვისტოსათვის, 23.15 — სიმღერის მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოხუმიდან).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

## კინო

**16 აგვისტო**

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — **ზოსია**, სპარტაკი — **105 პროცენტი ალიბი**, ისანი, კომკავშირელი, ბათუმი, კიროვის სახელობის პარკი — **ბიზანტიელი სოვდაგრის განძი**, საქართველო (წითელი დირბაზი) — **ყვავილი მტვერში** (I-II სერია), ბათუმი — **ორი კაპიტანი**, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კულტურის სახლი — **ველური თაფლი**, თბილისი — **ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი** (I-II სერია), კომკავშირელი — **რკინის ნიღაბი** (I-II სერია), კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (I დარბაზი) — **ფანტომასი**, ნაკადული — **ვასილისა მშვენიერი**, ნაკადული — **ბუმი**, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ორლეონოკი**, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — **წითელი ქუდები**, თანამგზავრი — **ცოლი ავსტრიელისთვის**, თანამგზავრი — **სამუდამოდ ერთად**, ტერეზინსკის სახელობის კლუბი — **ფოკუს-პოკუსი**, ყაზბეგი (II დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ავანტიურისტის კარიერა**, კოლმეურნე — **სისხლით უცხონი**, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **ცოცხალი სამიზნე**, ოფიცერთა სახლი — **მთვარიანი ღამეები**, კოსმოსი— **ახალი დროება, მაქს ლინდერის კომპანიაში** (1 ს.), **შურისმაძიებელი ელდორადოდან, ვინ არის ის** (4 ს. და 30 წ.), **გაზაფხულის ვალსი, შენით მოხიბლული** (8 ს.).

**საზაფხულო კინოთეატრები**

ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა— **ზოსია**, ეკრანი — **ნიურნბერგის პროცესი** (I-II სერია), ეკრანი — **მეღორე გოგო და მწყემსი**, ისანი — **ყვავილი მტვერში** (I-II სერია), ამირანი — **ბიზანტიელი სოვდაგრის განძი**, ვაკის პარკი — **ველური თაფლი**, 26 კომისრის სახელობის — **სალთან მეფის ზღაპარი**, 26 კომისრის სახელობის, გორკის სახელობის კულტურის სახლი, მეგობრობის პარკი — **ფანტომასი**, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ტოროლა**.

**რედაქტორი**
**დ. მჰედლიშვილი.**


**კომუნისტი** | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

**КОМУНИСТИ** ИНДЕКС 66443 УЭ 04144 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 4